ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4163324

ნომერი: AR1623628

თარიღი : 20.08.2018

გაცემის თარიღი : 11.09.2018

გაცნობის თარიღი : 27.09.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა N3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ფანჯაკიძე პ/ნ 01023003478
- მედეა ჩახავას ქ.4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 20 აგვისტოს №AR1623628 განცხადებით მომართა დავით ფანჯაკიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2013 წლის 22 აპრილის №654459 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 22 აპრილის №654459 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სანდრო ეულის ქ. №7-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.007.083) მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის კორექტირებული არქტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 22 აპრილიდან 2013 წლის 22 ივლისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2013 წლის 22 აპრილის №654459 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და ითხოვს მის გასწორებას. კერძოდ, მისი განმარტებით, აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმების პირველი სართულის (0.000 ნიშნული) გეგმაზე, ტერასების ფართობი 313.61 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 413.91 კვ.მ. შესაბამისად, სამსახურის 2013 წლის 22 აპრილის №654459 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობი 735.92 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა დაფიქსირდეს 836.22 კვ.მ. ხოლო, საერთო ფართობი 11815.34 კვ.მ-ის ნაცვლად - 11915.64 კვ.მ.

სამსახურის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმებისა და საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2013 წლის 22 აპრილის №654459 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების პირველი სართულის (0.000 ნიშნული) გეგმაზე, ,,ჟ-ქ,, ღერძებს შორის ტერასის ფართობის არსებობის ფაქტი არ დასტურდება, აღნიშნული ფართობი არც ექსპლიკაციებშია დაფიქსირებული და არც საზაფხულო ფართობშია ასახული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, სამსახურის 2013 წლის 22 აპრილის №654459 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის არსებობის ფაქტი არ დასტურდება სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.